ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №7769663

ნომერი: AR11114473

თარიღი : 30.10.2025

გაცემის თარიღი : 13.01.2026

გაცნობის თარიღი : 13.01.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, N 91ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექა ჩანტლაძე პ/ნ 01008019357
- თბილისი ი.აბაშიძის ქ.#14, მე-3 სადარბაზო, მე-7 სართული, ბინა 54ა

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- " "
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ბ91
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404510169
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ნატო ჩიკვილაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01002026847

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2550918
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 21.04.2016

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ზურაბი ჭიღოლაშვილი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2025 წლის 30 ოქტომბრის AR11114473 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. N91ა-ში სარეაბილიტაციო სამუშაოების კორექტირებული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხს.
პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:
1. დაზუსტდეს ნახაზები და წარმოდგენილ იქნას მხოლოდ კორექტირებული სახით;
2. დეტალურად იქნას განმარტებული განსხვავება AR1379245 განაცხადზე წარმოდგენილ საპროექტო ნახაზებთან;
3. დარღვევით ნაწარმოებ სამუშაოებთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნეს ქლაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპაური ინსპექციის მიერ გაცემული აქტი და შესაბამისი ჯარიმის გადახდის ქვითარი;
4. ვინაიდან ადგილზე ნაწარმოებია მიწის სამუშაოები, წარმოდგენილ იქნას საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა;
5. .კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი -> .ძეგლის არქიტექტურული პროექტის pdf ფაილი:
- განმარტებით ბარათში:
*გაიწეროს შენობის ახლნდელი ფუნქცია;
* დეტალურიად იქნეს ასახული უკვე განხორციელებული და განსახორციელებელი სამუშაოები;
*დაზუტდეს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელები და მოვიდეს შესაბამისობაში გეგმებზე მითითებულ ფართებთან;
- პროექტში (გვ.2) წამროდგენილი გეგმა განიმარტოს რას გამოხატავს, რადგან შეთანხმებულ პროექტს არ შეესაბამება;
- დეტალურად მოინიშნოს დოკუმენტაციაში არეალები რომელიც კორექტირებას ექვემდებარება;
- დაზუსტდეს ნიშნულები შტამპსა და გეგმებზე;
- განმარტებულ იქნას პერიმეტრის კედლების სისქის ცვლილებასთან დაკავშირებით;
- სახურავის გეგმაზე დატანილი იქნეს ნიშნულები და წყალშემკრები;
- ნახაზებზე გეგმების ნუმერაცია ასახული იქნეს სრულად;
- წარმოდგენილი იქნეს როგორც გრძივი, ისე განივი ჭრილები;
- ჭრილები დაინომროს გეგმაზე დატანილი შესაბამისად;
- სახურავის გეგმაზე, 1-1 და გ-გ ღერძებს შორის საზაფხულო სივრცე სცდება საკადასტრო საზღვრებს და მოწყობუილია მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე;
- გეგმები, ჭრილები და ნახაზები მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში;
6..მშენებლობის ორგანიზების პროექტი კალენდარული გრაფიკით. -> .მშენებლობის ორგანიზების პროექტი კალენდარული გრაფიკით pdf ფაილი.:
- წარმოდგენილი იქნეს სრულყოფილი მშენებლობის ორგანიზების პროექტი;
7. .კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ისტორიულ - არქიტექტურული კვლევა -> .ძეგლის ისტორიულ - არქიტექტურული კვლევის pdf ფაილი:
- წარმოდგენილ იქნას განახლებული კვლევა მიწისქვედა სართულის (სარდაფის) ნაწილში. ხელოვნებათმცოდნემ განიხილოს აღნიშნული და შეფასებულ იქნას განსახორციელებელი სამუშაოები და გაიწეროს შესაბამისი რეკომედნაციები;
8. .კორექტირებული პროექტის ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები. -> .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით). :
- წარმოდგენილ იქნას ფოტომონტაჟები, ასევე წარმოდგენილ იქნას სამუშაოების დროს გამოვლენილ სარდაფში განსავითარებელი ესკიზური რენდერები ფოტო და ფოტორენდერი ერთიადაიმავე ხედით;
- წარმოდგენილ იქნას ერთიანი მაღალი ხედის ფოტომონტაჟები;
10."არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> "ფოტოსურათების pdf ფაილი:
- წარმოდგენილ იქნეს არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოები დღეის მდგომარეობით, დათარიღებული

სხვადასხვა, ასევე ზედა ხედიდან, ერთიანი ხედებით;
- დამატებით წარმოდგენილ იქნეს სამუშაოების დროს გამოვლენილი სარდაფის ფოტოები;
11. წარმოსადგენია კორექტირებული კონსტრუქციული პროექტი და განახლებული კონსტრუქციული დასკვნა სარეკონსტრუქციო შენობის ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობის) და საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ჩასატარებელი სამუშაოების შესაძლებლობის შესახებ;
12. წამოდგენილი იქნას იპოთეკარებისა და მოსარგებლის მიერ გაცემული, სათანადო წესით დამოწმებული თანხმობები.
აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში განახლებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.
იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება სამსახური უფლებამოსილია აღნიშნული განაცხადი დატოვოს განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.